

## ტიხრული მინანქრის დიდოსტატი ხარაგაულის მუზეუმში



ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში (დირექტორი **ნინო ლომიძე**) გრძელდება პროექტი „შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან“. ამჯერად საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელს, ტიხრული მინანქრის ტექნოლოგსა და ოსტატს, ჩვენს თანამემამულეს, ხარაგაულის საპატია მოქალაქეს, **მამუკაშვილს** უმასპინძლებს. ერთობლივ მალრადე ხელმოწერებით დაინტერესებულ ხარაგაულელ ახალგაზრდებს და მათ მასწავლებლებს შეხვდა. ტიხრული მინანქრის ოსტატმა შეკრებილთა ქართული ტიხრული მინანქრის ისტორია

გაცნო და აჩვენა ტიხრული მინანქრის დამზადების ერთ-ერთი მეთოდი. „ნებისმიერი მუზეუმის უპირველესი დანიშნულებაა, მომავალ თაობებში სიახლეების დანერგვა და გაძლიერება, - ამბობს ერთი მალრადე, - ის ცოდნა, რასაც ბავშვები იღებენ სკოლაში, საშუალო სკოლაში კიდევ უნდა გაღრმავდეს. ამ მიზანს ემსახურება ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილის, ქალბატონი ეკა შველიძის მიერ წამოწყებული პროექტი. ვიმედოვნებ, რომ ხარაგაულელი ახალგაზრდები

დაინტერესდებიან ტიხრული მინანქრის ტექნოლოგიით. გორში, ერთი მალრადის პირად სახელისწილად, უახლოეს ხანში ტიხროვანი მინანქრის სკოლა ამოქმედდება, სადაც შეიქმნება ახალგაზრდა ოსტატის, ეს პროექტი, ერთი მალრადის ინფორმაციით, გორის ეპარქიის თაოსნობითა და ქალაქის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება. ერთი მალრადე იმედოვნებს, რომ მომავალში ამ კუთხით ხარაგაულის მუნიციპალიტეტსაც მიაქვია ყურადღებას. **ნინო ლომიძე**

## ძვირფასო მასწავლებლებო!

გილოცავთ მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებულ ცხოვრებას. მასწავლებლებს გაკისრიათ მძიმე, თუმცა უმრავლესობისთვის სასიამოვნო, მოვალეობა, - გახადოთ ჩვენი ქვეყანა უკეთესი მომავალი თაობისთვის კარგი განათლების მიცემით, რადგან მხოლოდ განათლებული საზოგადოებაა დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნის აშენების საფუძველი.

პატივისცემით,  
მაჟორიტარი პარლამენტის წევრი  
**ნორა კახიანი**

## ხარაგაულელთა „დარისკანის გასაჭირი“ გორში

სახალხო თეატრების ფესტივალს გორში 11 ოქტომბერს ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახალხო თეატრი გახსნის სპექტაკლით „დარისკანის გასაჭირი“. რეჟისორი **ირინე ჩხეიძის** ინფორმაციით, ფესტივალის ფიურის შეამდგენლობაში არიან თეატრთმცოდნეები ლაშა ჩხარტიშვილი, ნიკა წულუკიძე და ლელა ოჩიაური. „ველავ, რადგან გორში, დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქში, გვინებს გამოსვლა.

ამავე დროს ძალიან საპასუხისმგებლოა, რომ ფესტივალს გახსნის ხარაგაულის სახალხო თეატრი. ღირსეულად უნდა წარვდგეთ მასწავლებლის წინაშე,“ - ამბობს ირინე ჩხეიძე. გორის სახალხო თეატრების ფესტივალში მონაწილეობენ სამტრედიის, საგარეჯოს, საჩხერის, წყალტუბოს, ბორჯომის, ბაღდათის, ჩოხატაურისა და ხელვაჩაურის სახალხო თეატრები. ფესტივალში 23 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

## სოფლებში კრებები ტარდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ტარდება მოსახლეობის კრებები 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტების შესარჩევად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრები უკვე გაიმართა ბორჯომის, ლაშის, ხილარის, ხევის, წიფის, ვახანის, ლელუნის, მოლითის, საღაძილის, ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში. მოსახლეობამ პრიორიტეტები შეარჩია ბაზალეთისა და ქროლეთის **დღეს 9 ოქტომბერს**, 11 სთ-ზე მოსახლეობის კრება დაგეგმილია ღარიხევში;

- 16 სთ-ზე - ხორთომი;
- 18 სთ-ზე ჭაფაროულში.
- 10 ოქტომბერს** მოსახლეობის კრებები დაგეგმილია
- 12 სთ-ზე ჩრდილსა და გელსამინაში;
- 13 სთ-ზე საქარქედსა და ფარცხნაში;
- 14 სთ-ზე - ზვარეში, საბესა და კიცხის ივორეთში;
- 16 სთ-ზე - ნუნისსა და თეთრანყაროში;
- 15 სთ-ზე - ახალსოფელში.
- 11 ოქტომბერს** მოსახლეობის კრებები დაგეგმილია
- 11 სთ-ზე ლახუნდარაში;
- 12 სთ-ზე - წყალაფორეთსა და პატარა ვარძიაში;
- 13 სთ-ზე - ისლარსა და ხონში;
- 15 სთ-ზე - ვარძიასა და ლუღუმქეთში;
- 16 სთ-ზე - ჩალხაეთში.

## ხიდარში საბავშვო ბაღი გაიხსნა



პირველ ოქტომბერს, ხიდრის ისტორიაში პირველად, საბავშვო ბაღი გაიხსნა. ხიდრელი მშობელი **ნანა ხეციაძე** ამ თაქტით ბედნიერია და ამბობს, რომ ახლა მათი დიდი ხნის სურვილი. ქალბატონ ნანას უხარია, რომ მათ შვილებს საბავშვო ბაღში არაჩვეულებრივი გარემო და აღზრდელეები დახვდნენ და მალეობას უხდის უკლებლივ ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ხიდარში საბავშვო ბაღის გახსნაში.

საბავშვო ბაღის გახსნით რომ ხიდრელებისთვის უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდა, აღნიშნავს მშობელი, ხიდრის საჯარო სკოლის მასწავლებელი **თამაზ მათაძე**: „დიდიდან თითქმის 4 საათამდე წამოსული ვარ სახლიდან. ამიერიდან ჩემი შვილი, თანატოლებთან ერთად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ჩართვება. შესაბამის განათლებასა და კულტურას მიიღებს. უდიდესი პრობლემაა ბავშვთა განვითარების სკოლაში მიყვანა. თითქმის ყველაფრის სწავლება გვიწევდა ნოლიდან. საბავშვო ბაღიდან მოსული ბავშვი კი მომზადებული იქნება სკოლისთვის.“

ლირსშესანიშნავ დღეს. მალეობა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი სურვილების სრულყოფაში. ხიდრის მომავალ თაობას ვუსურვებ წინსვლას.“

გამგებლის წარმომადგენელი ხიდარში **ბაღრი ბარაძე** იმედოვნებს, რომ საბავშვო ბაღის გახსნა და გზის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სოფლიდან მიგრაციის შეჩერებას. „მეზობელი სოფელი, სადაც დღემდე საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა, ჩვენგან დაახლოებით ხუთი კილომეტრითაა დაშორებული. ბავშვების მეზობელ სოფელში საბავშვო ბაღში ტარება შეუძლებელი იყო. ამიტომ ბაღის გახსნას მოსახლეობაც ითხოვდა

## „მხიარულ სტარტებში“ ხარაგაულის გამგეობის მუშაობა გაიმართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით ხარაგაულში ორგანიზაციების შორის „მხიარული სტარტები“ ჩატარდა. სპორტულ შეჯიბრებაში გამგეობის, შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის, კულტურის ცენტრისა და სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ხარაგაულის გამგეობისა და სპორტის გან-

ვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის გუნდები. დაძაბულ ორთაბრძოლაში გამგეობის გუნდმა გაიმარჯვა. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპეციალისტი ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში **ნათია ტაბატაძის** ინფორმაციით, მხიარულ სტარტებში მონაწილე ოთხივე გუნდი ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. სიმბოლური საჩუქრები გადასცეს ლონისძიების ოპერატორს გოგი კვიციანი-ვილს და ნამყვანს ვიორგი ჭიპაშვილს.

**ლაშა გოგოლაძე**







# ელენე პაქსაშვილის ოჯახი დახმარებას ითხოვს



ხარაგაულში, 9 აპრილის ქუჩაზე მცხოვრები **ელენე პაქსაშვილის** ოჯახი უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობს. საცხოვრებელი სახლი დანგრევის პირასაა. გასულ კვირაში მოსულმა უხვმა ნალექმა კიდევ უფრო დაამძიმა სახლის მდგომარეობა.

მათი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი სოციალური დახმარებაა. ოჯახში ორი მცირეწლოვანი ბავშვია, რომელთა უსაფრთხოება, სახლის ავა-

რიულობის გამო, ვერ არის დაცული. ელენე პაქსაშვილის თქმით, აპრილში მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი ოთხი მეტრის სიმაღლიდან იატაკში ჩავარდა, ავვისტოში კი - ხუთი თვის ფეხშიძე რძალი ჩავარდა იატაკში და მუცელი მოუშალა.

ელენე პაქსაშვილი დახმარებას ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვს. „მოვლენ, გადაიღებენ ფოტოებს და წავლენ. ერთჯერად დახმარებაზე და-

წერე განცხადება, მაგრამ უშედეგოდ. თავმჯდომარის ვითხოვთ, ან ეს სახლი გაკეთდეს ისე, რომ უსაფრთხოდ ვიცხოვროთ,“ - ამბობს ელენე პაქსაშვილი.

გამგებლის მოადგილე **თამარ ჩხიძის** განმარტებით, ელენე პაქსაშვილის ოჯახმა, როგორც სტიქიით დაზარალებულმა, 2013 წელს ფულადი დახმარება მიიღო.

თემურ ჩხეიძე ამბობს, რომ ოჯახმა ისევ შეიტანა განცხადება დახმარების მიხედვით. მისივე განმარტებით, კომისიამ ოჯახს სტიქიით დაზარალებულის მერვე კატეგორია მიანიჭა. „კომისიის სხდომა ჯერ არ ჩატარებულა. ოჯახი დაკმაყოფილებულია. ამ კატეგორიის დაზარალებულებს 500-დან 700 ლარამდე თანხით ვეხმარებით. თუ შესაძლებლობა გვექნა, მაქსიმალური თანხით დავეხმარებით.“

საკრებულოს თავმჯდომარე **ნება ალრაჰიმი** იმედოვნებს, რომ ელენე პაქსაშვილის ოჯახის პრობლემას გადაჭრის ან ალტერნატიულ საცხოვრებელ სახლს შესთავაზებენ, ან ისე გაამაგრიებენ სახლს, რომ აღარ იყოს საშიში იქ ცხოვრება.

**ნინო კაკანაძე** P.S. გაზეთის მხადების პროექტში შეერთდები, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ელენე პაქსაშვილის ოჯახს საცხოვრებელი ფართი უქირავა.

# პოლიტიკოსობა არ გახლავთ ადვილი

პოლიტიკა ბერძნული სიტყვაა, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის საქმიანობას შიდა სახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში; განისაზღვრება ამ ხელისუფლების, პარტიის, ჯგუფის კლასობრივი ინტერესებით. იგი მოქმედებს რისიმე მისდევს, სხვა ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულებაში.

პოლიტიკოსობა არ გახლავთ ადვილი. თუ ხელისუფლება ჩაგაბარეს, ნუ იყოფიხარ თანამდებობებზე უფიც და ცხვირ ადამიანებს, თორემ მათი ცოდვები შენ დაგვიბრუნდება, როგორც უფროსს. თანამდებობა და წოდება როდი ამძღვრებს კაცს, წოდებას თავად

ამაღლებს კაცი. „მრავალი მწყემსი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა,“ - ბრძანებდა სულხან-საბა ორბელიანი. რაც მთავარია, „პოლიტიკოსი ვერ იქნები, თუ მოთმინება არ გავაჩნია და რისხვის დაოკების უნარი არ გაქვს,“ - ამას ბრძანებდა სტენდალი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე გამგეობაში, ჩემი ყოფილი მოსწავლეები მუშაობენ - დიდებული და პატიოსანი ოჯახების შვილები. ხანდაზმული პედაგოგი ვამაყობ მათი წარმატებებით. მაგრამ მეტად სამარცხვინია, რომ ზოგიერთები იჩენენ ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობას, ადგილი აქვს პოლიტიკურ დაზღმვებს, შუღლს, ლანძღვას, რაც არ გვეკადრება დიდებული ტრადიციების

მქონე ხარაგაულებს - არც ხელმძღვანელებს და არც რიგით მოქალაქეებს. თანამდებობა დროებითია. ხარაგაული დიდი ქალაქი არ არის. ყველა ერთი ოჯახის შვილებით ვიყავით და ვართ კიდევ. ურთიერთსიყვარული, მეგობრობა, კულტურა, მამა-პაპათავან ვაქვს ნაბობარი. ამის შელახვა არ გვეკადრება. სამყარო ღმერთმა შექმნა. ადამიანი სიყვარულია და სიკეთისთვის არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე. რა შუაშია პარტიები. ყველა ღვთის შვილები ვართ და ღვთიური საქმე უნდა ვაკეთოთ საყვარელი სამშობლოს სადიდებლად და საკეთილდღეოდ.

**ზორბი ჯღანაძე** საქართველოს დამსახურებული პედაგოგი

# თქვენ ეს დასვენება დაიმსახურეთ

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის ღვანღმოსილი მასწავლებელი **ღარო ბაქაშვილი** სკოლიდან გავეცილეთ. დარო მასწავლებელი პედაგოგის როლს პროფესიას - მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს 60 წელზე მეტი ემსახურა.

ყოველდღე ჩქარი ნაბიჯით მიიჩქაროდით სკოლაში. კეთილსინდისიერად ასრულებდით თქვენზე მინდობილ საქმეს. ქალბატონო დარო, ძვირფასო ვალია მასწავლებელი, - ასე მოგმართავდნენ თქვენი მოსწავლეები. ისინი თქვენს შესახებ მხოლოდ კარგს გაიხსენებენ. თქვენ მოსწავლეებთან ყოველთვის მშვიდი ხართ, რის გამოც ძალიან უყვარხართ თქვენს აღზრდილებს და გათვასებენ. სამი ვაჟკაცის დედას

შვილიშვილები გარს ვახვევიათ, შვილთაშვილსაც მოესწარით და ვინ მოგვცემთ დასვენების უფლებას.

ამ სასწავლო წლის დაწყებისას გადაწყვიტეთ, რომ პენსიაზე გახვიდეთ და დაისვენოთ. თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ. მეგობრობა უფალს, რომ ძალია და ენერჯია შეგინარჩუნოთ, ჯანმრთელად გამყოფოთ. თანამშრომლების სიყვარული არასოდეს მოგაკლდებათ. ყოველთვის გვიგულეთ თქვენს გვერდით. თქვენ მუდამ ჩვენს უფროს მეგობრად დარჩებით. გაიხარეთ და დიდხანს იცოცხლეთ.

**ალექსანდრა ჭიკაშვილი** ვერტევიჭალის საჯარო სკოლის მასწავლებელი

# ხარაგაულის შემოქმედებითი კოლექტივები ფესტივალში ჩაერთვებიან

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსის, **ირინე ჩხიძის** ინიციატივით, ოქტომბერი საინტერესო და დატვირთული იქნება ხარაგაულის შემოქმედებითი კოლექტივებისთვის.

აკაკი წერეთლის დაბადების 175 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები:

11 ოქტომბერს ზესტაფონში ტრადიციული ფესტივალი „ვარინკობა“ ჩატარდება. ირინე ჩხიძის ინიციატივით, ამ ფესტივალზე ხარაგაულიდან მომდერალი სალომე კვიციანი წარდგება.

15 ოქტომბერს საჩხერეში გაიმართება აკაკი წერეთლის ლექსებზე შექმნილი სიმღერების ფესტივალი, სადაც ხარაგაულები თინათინ ლურსმანაშვილი და თეა ჯანიაშვილი იმღერებენ;

ოქტომბრის ბოლოს საჩხერეში ქართული გალობის ფესტივალი დაგეგმილია, რომელშიც ჩაერთვება ხარაგაული მგალობელთა გუნდი რეგენტ თორნიკე ბაკურაძის ხელმძღვანელობით.

„რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოქტომბრის ბოლოს ქუთაისში მოეწყობა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალი, რომელშიც ხარაგაული ყველა შემოქმედებითი კოლექტივი მონაწილეობს. ვფიქრობ, ფესტივალებიდან საინტერესო გამოცდილებით დაგებრუნდებით“ - ამბობს ირინე ჩხიძე.

# ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მონაწილეობდეს ეროვნული პარკის მართვაში

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) ინიციატივით შემუშავდა „დაცულ ტერიტორიებსა და ადგილობრივ თემებს შორის კონფლიქტების გადაწყვეტის სქემა“. ანგარიშის სამუშაო ვერსია და მასში მოცემული რეკომენდაციები ხარაგაულში განისილეს ადგილობრივი ხელისუფლების, გარემოს დაცვის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

კვლევა ამ ზომებს ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებთან ინტერვიუების გზით ჩატარდა. კვლევის მიზანია რეკომენდაციების შემუშავება და შემდგომ სხვადასხვა უწყებების ერთობლივი თანამშრომლობითა და დონორების ჩართულობით მათი მოგვარება.

კვლევის მიხედვით, მოსახლეობის დამოკიდებულება და განწყობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმართ ძალიან მგრძობიარეა. ეფექტიანობისა და რესურსების მართვის კუთხით საჭიროა დამატებითი ყურადღება. ყველაზე მნიშვნელოვანი

პრობლემა სამასალე ხე-ტყით სარგებლობის აკრძალვა დაცული ტერიტორიებიდან, მტაცებლებისგან მიყენებული ზიანი და მიწის კუთვნილებასთან დაკავშირებული საკითხები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში შეზავალი მუნიციპალიტეტებიდან სამასალე ხე-ტყე მხოლოდ ახალდაბის მოსახლეობისთვის გამოიყოფა. ტყის არალეგალური ჭრა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და ყველაზე ხშირი სამართალდარღვევა ეროვნულ პარკში. მოსახლეობას საშუალება აქვს მიიღოს მხოლოდ საშემე მერქანი.

შემის მოპოვებას ტექნიკური სირთულეები ახლავს - მოუნეს-რიგებელი გზა, შორ მანძილზე მოხვედრილი ხე-ტყე, შესაბამისი დოკუმენტების დროულად მიუღებლობა. ეს მოსახლეობის დამოკიდებულებას ეროვნული პარკის მიმართ გარკვეულწილად ამწვავებს.

ენერგოეფექტური ღუმელების დაყენება და სახლების დათბუნება შეამცირებს საშემე მერქანზე მოთხოვნას.

სამასალე ხე-ტყის მოპოვების აკრძალვამ განსაკუთრებული პრობლემები შეუქმნა ხარაგაულის მოსახლეობას, რადგან აქ ავეჯის დამამზადებელი ბევრი მცირე

საწარმო ფუნქციონირებდა. ეს საქმიანობა ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ერთადერთი წყარო გახლდათ. ამავე დროს სახლების შეკეთებისა და ღობეებისთვის აუცილებელია სამასალე ხე-ტყე.

იმის მიუხედავად, რომ 20 წელია ფუნქციონირებს ეროვნული პარკი, სხვა სფეროებში დასაქმება და ალტერნატიული შემოსავლის წყაროების მოძიება საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

კვლევაში აღინშნულია, რომ ხარაგაულის მხარეს სახელდებოდა საძოვრებით სარგებლობისა და წარმოქმნილი პრობლემები. მოსახლეობა ამბობს, რომ საქონლის რაოდენობის ზრდასთან ერთად ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაიზარდა საძოვრების დატვირთვა. არასაკმარისია ფართობი, მწყემსებისთვის მოსაწყობია ახალი თავმჯდომარეები და გასახლებულია ძველი. მწყემსები ითხოვენ იარაღის ტარების უფლებას იმ არგუმენტით, რომ მტაცებლისგან ზიანის მიყენების შემთხვევაში კომპენსაციაზე პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია არასაკმარის ადამიანურ რესურსებზე საუბრობს. რეინჯერები ჩართულნი არიან საგანმანათლებლო, მონი-

ტორინგის პროგრამებში, ხე-ტყის მენეჯმენტში, ბრაკონიერებთან ბრძოლაში. ეს კი ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული.

მოსახლეობა მხარს უჭერს ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლას, თუმცა წუხს მტაცებლების გახშირებული თავდასხმების გამო. არ არსებობს საკომპენსაციო მექანიზმი ველური მტაცებლისგან დაზარალების შემთხვევაში.

ადგილობრივ მოსახლეობას ნაკლებად აქვს მოლოდინი, რომ მიიღებს სარგებელს ეროვნული პარკისგან. საჭიროა მუშაობა და მოსახლეობისთვის ახსნა ამ სარგებლების.

სამწუხაროდ, ტურიზმი ძალიან სუსტად განვითარდა. მცირეა საოჯახო სასტუმროებისა და სხვადასხვა ტურისტული მომსახურების შემთავაზებელი რაიონები. აუცილებელია კომუნიკაციის გაუმჯობესება მოსახლეობასთან, რადგან ისინი თავს გრძობენ დაუცველად და ეროვნულ პარკში დღეს ხელმისაწვდომი რესურსების აკრძალვას შიშობენ. ხარაგაულში ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ტურიზმის განვითარებას არ ექვეყნა ისე ყურადღება, როგორც ბორჯომში. ეს არის მისასვლელი გზების არარსებობა. ეროვნული პარკის მისასვლელი გზების მონერგვა მნიშვნელოვნად შეუ-

ცობს ხელს ტურისტების მოზიდვას. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მხრიდან პრობლემად დასახელდა არალეგალური ხე-ტყის მოპოვება, ადამიანური რესურსების გაძლიერება, ისეთი პასუხისმგებელი პირის არსებობა, რომელიც უშუალოდ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე, მათ ჩართულობაზე, ეკოსაგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობაზე იქნება მიმართული.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობასაც სურს, რომ მეტად იყონ ინფორმირებული პარკის საქმიანობის შესახებ.

**კვლევის რეკომენდაციების თანახმად, აუცილებელია:**

- დასაქმების ალტერნატიული გზების გამოძიება - მცირე საგვარეულო პროგრამების განხორციელება;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის - საოჯახო სასტუმროების განვითარება;
- მტაცებლებისგან პირუტყვებზე თავდასხმების შემთხვევაში საკომპენსაციო მექანიზმების შემუშავება.
- მნიშვნელოვანია საკონსულტაციო საბჭოების შექმნა.
- ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა უნდა მონაწილეობდეს პარკის მართვაში.

**ნინო კაკანაძე**







# ზარები

მელოდინე, მგვრამ არავინ გამო-  
მგებებია, არავინ ჩამხუტებია, არვის  
გადმოვარდნია სხარულის ცრემლი. არ  
ყოფილა: „უი, შენ გენაცვალე!“, „უი, შენ  
შემოგველე!“. ეს რა ღღე გამოთენდა!

კარების ვადება რომ დავაპირე,  
ძალი მოვარდა და ღრენა დამიწყა.  
რამდენჯერაც ხელი წავიღე სახელუ-  
რისკენ, იმდენჯერ საბინელი კბილები  
გადმოყარა. გულგახეტილმა დავიხიე  
უკან. ვიღვტი მძიმე ჩანთებით და შევ-  
ლას ვითხოვდი. არსადან ხმა...

ტკივილი და განსაცდელი არ დამკ-  
ლებია ცხოვრებაში. ძალი არ უკბენია  
მხოლოდ. მზარავს ახლა ეს დარე-  
ჯილი ლამ-პირი, მარჯვენა ფეხი უკვე  
გრძნობს ემების ჩარმავებას.

-ეს ჩემი სახლია, ძალი, ჩემი  
ტკილი კერა! გესმის? შენ საიდან  
მოსულხარ? მოვიტანე რაღაც, ხომ  
არაფერი მიმაქვს? შემეშვი შინ, რა  
მოხდება?!

რაღაცას მიხვდა თითქოს, ეშვები  
დამალა, თუმცა უნდოდ მიყურებდა.  
ერთი ჩანთით შევევარი ოთახში და  
სული მოვიტარე. მერე ჩანთის შე-  
მოსატანად რომ გამოვიხიე, ძალი  
თავის ლეკვებს ფერებოდა კბის ქვეშ.

ძალს ვადგურნი, მგვრამ თავმარი  
დამიკა სახლის ახლანდელი მიღ-  
რუბლულობა. გული ისევ ამოვარდა  
საკულეოდან. უამრავი ბზარი... პირღია  
ხერხეულის სართულებს შორის... საძიკ-  
ველმა... დასავლეთის კედელი ისე გადა-  
ხრილა, თითქოს სადაცაა გაყვლებო  
მერე სართულს. მხოლოდ დიდი დირე  
ყო მყარად და ამჟამად განოლოლი  
დარბაზისა და საწოლი ოთახის მილე  
სივრცეზე. ახლა მერე სართულს აკვებ-  
და, ბავშვობის ზამთრებში კი საქენლას  
მივიღებდნენ ამ ხეზე.

მეგონა, ბავშვობაში გბრუნდებოდი,  
ახლა კი ლამის თავზე ჩამომეშხოს იგი.  
ღირსი ვარ, აქ დავამთავრო სიცოცხლე  
ჩემი მღვრიე და წამლეკავი ფიქრებით.  
მე ხომ დედის დანახვები ვერ შევს-  
რულე, რომ მშობელივით მიმეხვდა  
ზაზასთვის, მისი სოფლურ-ქალაქური  
ცხოვრებისათვის...

მცოცავი მინა... სამი კუთხით მენ-  
ყერისაგან ჩამორეცხილი დამრეცი  
ფერღობი. მინსძებრითა და ეროზიით  
შეცვლილი ვარემო... სახლი კორტოხ-  
ზე... აღრე ასე არ იყო. ეს სტუმართმოყ-  
ვარე, ხმაურიანი, სიცოცხლის თბილი  
ბუდე ღვთისის სახლად ქცეულა...  
სამიშია აქ და გარბიან ადამიანები.  
უფრო მეტად სიყვარულის დეფიციტის  
გამო გარბიან (სიყვარულს ხომ ყო-  
ველთვის შეუძლია გამოსავლის პოვნა  
უკეთესობისთვის).

გარეთ გამოვდივარ და ჩემს საყვა-  
რულ ქვაზე ვჯდები. როგორ მიყვარდა  
აქედან მთების რკალის ყურება. ისინი  
ისევ მხრებგამოლილად დგანან. ხეები  
გადაუჩხავთ და უფრო კარგად ჩანს  
ღვთისმშობლის სახელობის წითელ-  
გუმბათიანი ყელყარყარა თეთრი  
ტაძარი. ვახშირებულა ნაძვის ხეები,  
აზრიდან. ედემური სილამაზეა ჩამ-  
ყდროვებული. გამასხენდა, როგორ  
გვხუმრებოდი მეზობელი სოფლის  
გოგო-ბიჭებს: „მხოლოდ და მხოლოდ  
ჩემი სოფლის შორიდან ცქერა გაძლე-  
ბინებთ მაგ ჩავარდნილ და გაბრტყე-  
ლებულ მინაზე!“ ვხუმრობდი კი არა,  
ახლაც ასე მჯერა. ძნელია ამ ადგილის  
დატოვება. უჭირს ზაზასაც, ვერ ელვება  
ამ მთებს, ამ ვენას, ამ ყანებს, ამ გზებს.  
ვერ სუნთქავს სხვა პაერთი. მაშის ბი-  
ლიკს დაჰყვება ჯოტად. ბავშვობაშიც  
ასე იყო... ვერ გამოვტყუე წიგნებისკენ.

ტყე-ღრეში დასდევდა მამას, მასთან  
ურჩევლოდა. მამასაც ვეკამათებოდი  
ამის გამო. ის კი მტუქსავდა: „უწნარა  
წიგნის ჭია შენც გვეყოფიო“.

იქნებ ზაზას სოფლის თავაკაცებთან  
არც გაუშვებია, ასეთ მდგომარეობაში  
რომა მისი სახლი. ჰო, რცხენია და  
არ იტყოდა. ისევ მე უნდა შემოვკრა  
ვანგამის ზარს. ხომ შეიძლება, ცა და  
მინა დაგვეცვს თავზე. ხომ შეიძლება,  
დალოლი-დაქანცულს ჩაეძინოს და  
წაგრევებში მოჰყვას. მე უნდა უზღა-  
ხედო ამ სახლისკენ სამყარო. მე უნდა  
შევძლო ზაზას დარწმუნება, ჩვენი  
ბავშვობის სახლისა და მისი თჯახური  
საბურდის გადარჩენა.

ისე, ჩვენთვის რომ ვთქვით, ბიჭებს  
რატომ ჰგონიათ, რომ მამაპაპური მხო-  
ლოდ მათია ყველაფერი და როგორც  
უნდათ, ისე მოექცევიან. ამავდრეც ვ-  
რისხებ „გოგონების“ ზარებს: არაფერი  
არ გვინდა თქვენგან, მხოლოდ თვალი  
შეგვაღვლებინეთ ხოლმე ხანდახან ბავშ-  
ვობის სახლსა და საყვარელ ნივთებს,  
თითო თოჯინა მაინც შეგვინახეთ ძველ  
კარადაში, რომ ჩვენს დალოლი გულს  
ბავშვობის ნათესურებმა ჩაუშრილონ.

...სამზარეულოში ტყემლით, ლელ-  
ვით, ქლიავით, ჭანჭურით, სამარიობო  
მსხლით სავსე თასები იყო ჩამჯ-  
რევიებული. კიდევ კარგი, ხილი მაინც  
დამხვდა მორაფეილი... ორ დღეს  
ვზარბავდი, ვადლებდი, ვხუფავდი,  
ვრცხავდი... კობტად ჩავამწკრივე  
ქილები და წარწერების გაუკეთე  
ყველი შემთხვევისათვის: „ლეღვის  
მურაბა“, „ქლიავის ჯემი“, „მსხლის  
მურაბა“, „ტყემლის უღლე“, „ტყემლის  
სანებელა“, „ჭანჭურის ხილფაფა“...  
კომპოტებზე არ წამწერია...  
ორი ღამე არ მიძინებია. არც ჩემი ძმა  
დაბრუნებულა მთიდან. მესამე დღით  
ცრემლების ღაპალუპით გაუყვები გზას  
მაღალ აღმართზე.



გაზრდილა ჩემი დარგული ვარდის-  
ფერი ხეყვავილი. თითქოს მშვიდად  
ისვენებდნენ მის ჩრდილში მოხუცები,  
საოჯარი სიმყდროვე იყო, არც ცუდი ბა-  
ლახი დაშვედრია საფლავზე, მხოლოდ  
ლამაზი ყვავილები იღერებდნენ ყელს.  
ცხა წელი ვოცნებობდი, ასე მარ-  
ტო მოსულიყავი ამ საფლავზე. მეტი-  
რა, დიდხანს მეტირა, ყველა დარდი  
და სატკივარი მეთქვა დედისთვის და  
მერე უჩუმრად, ძველი მითოვებული  
გზით დაბრუნებულიყავი სახლში...

მარტო ორი მოხუცის სურათი,  
ჩემი თეთრი ტაძარი და მთები მიც-  
ქედნენ... იღვა სიჩუმე და იყო  
საოჯარი სიმყდროვე. სიცოცხლეში  
პირველად ავტირდი სიტყვებით. ხან  
ჩურჩულით ვფერებოდი საყვარელ  
სახეებს, თითქოს თავისით დასურავე-  
ნენ ქვაზე და ნაკადულებად მდიოდა  
ცრემლი. ვუთხარი დედას, თუ რო-  
გორ უჭირდა სულს ამ სამყაროში...  
მუცდი ხალხის, ბავშვების, საკომუნი-  
კაციო საშუალებების გარემოცვაში  
მყოფს. როგორ მენატრებოდა მისი  
ჩახუტება, დედის ხელების და გუ-

ლის სითბო. ამ დღეების განცდებზეც  
გუამზე, ჩვენ ძველ სახლზე, ზაზაზე,  
ქალაქზე შეყვარებულ მის ცოლ-  
შვილზე. ვიტირე, ბევრი ვიტირე და  
შეება ვიგრძენი.

ლოცობებიდან სანთლები... ეკლე-  
სიის ზარი მარიამობის საღმრთოწესწამებ-  
ლო ნივთები უხმობდა მრევლს. მომჩვენა,  
რომ დედის მკაცრსახიანი სურათი  
ვახალისდა, თვალეში სხივი ჩაუდგა,  
მადლიანად და იმედიანად მიცქერდა.  
მეფერებოდა დედის მზერა...

...შინ რომ დაბრუნდი, სოციალური  
ქსელით დღესასწაული მიველოცე  
მეგობრებს. ანაზად, ჩემი ბავშვობის  
სახლის ახლანდელი დიასახლისის  
ყვლმოღვრებული სურათი შემოყურდა  
- მეგობრობას მოხივდა ქალაქელი  
შედაგოვი რძალი, ზაზას ცოლი, ასე  
რომ შეამცირა ამ ბოლო დროს სოფ-  
ლად ვიბრტყეი.

რა თქმა უნდა, თანხმობა გაუგზავნე  
მეგობრობის მსურველს და ძახილის  
ნიშნების მწკრივი - უხმო ზარების  
ძახილი!

ოზოლა ოპრინავალი

# ზარი...

ბინდია, რეკდნენ ზარები,  
ხატობა უხმოვს მრევლსაო,  
მნათე მოუძღვის სოფელსა,  
იხინჭობაა დღესაო.  
ხინკალი ქვაბში თუხთუხებს,  
ფშაკვლებმა შაქნის ხმაური,  
ერთს ხელში მწვადი უჭირავს,  
დანარჩენს უჩიბრაური...  
ქვაზე მიკრული სანთელი,  
ანათებს არემარესა,  
მთამაც გასნია კალთები  
და გაეცალა მოვარესა.  
ცაზე გამოჩნდა ვარსკვლავი,

ისმის ყბილი მგლისაო,  
მოლი, ერთ კიდევ  
დავლით,  
დარჩენილ დღეებისაო.  
წარსულნიც ბევრი ასხენეს,  
ვისაც მთა-ბარი უყვარდა,  
სიმღერაც შემოუძახეს,  
და სრემლიც დღარეს უხვდა.  
ინათლა, ზარიც მინწარდა,  
იგრძნეს რა მადლი დღისაო,  
გვარავდეთ უფლის კალთაი,  
და ლოცვა იხინჭისაო.  
**ჯაგაულ ზაგაძე**

# ზარების ხმა

ყველა მომდევნო დღის დანყება  
მოჰყავს  
პოლიგონს,  
სადაც ბრძოლაა, ემბადები  
გადარჩენისთვის.  
ლოცულობ ისე, თითქოს უკვე  
ვეღარ პოულობ  
სიტყვებს და ისევ იმეორებ  
დანარჩენივით  
„მამაო ჩვენო“.  
პასუხია ზარების ხმა და  
ტყილები და პირფერობა მოდაა  
თითქოს.  
წარსული გვახსოვს, მომავალი  
ყველაფერს ნახავს.  
და მაინც ვითხოვთ, სიმართლისთვის  
პასუხებს ვითხოვთ.  
ისე ვუყურებთ ერთმანეთს, რომ  
გვაგართ შემოვლილებს.  
უნდათ ისურთონ ერთმანეთის  
სარგო პაერი.

მე კი ვისურვე, რომ გვეცხოვროს  
სიცოცხლეშივე  
და არ დავკარგოთ დარჩენილი  
ნუთი არც ერთი.  
საკამათოა ვანაჩენი მაინც,  
ასე რომ,  
ოცნებები და ილუზია მაშინ  
მთავრდება,  
როდესაც რწმენა და იმედი აღარ  
არსებობს  
და შეცდომების შემდეგ ვინცერთ  
თავის მართლებას.  
ზარების ხმა, პირველს ვინერთ,  
ლოცვას ვასრულებთ.  
-ღმერთო, დაგვლოცე, შეგვენიე  
ყოვლად წმინდაო.  
დანარჩენზე კი ფიქრი მერე  
სისულელეა.  
ისევ ყველა და ყველაფერზე რომ  
არ ვიღავოთ.  
**დათო ჯიფიაშვილი**

# „ოდეონის“ მათი წლისთავს

თითქოს ციდან შემოგვესმა რეკვა,  
მოგვიხმობდა „ოდეონის“ ზარი,  
ათი წელი ვიზრდებოდი ერთად  
და ამ სითბოს არ ჰქონია ბზარი.  
რის მოგვიხმობს „ოდეონის“ ზარი,  
ერთ კლდის ქიმზე ასხლეტილი ზარი,  
ვადაფერენთ ჭიუხებს და მდელის  
ფეხზე ვდგებით მთელი  
საქართველო.  
მეგობრობის დაგვინთია ცეცხლი  
და ჩვენს გულებს ცეცხლის ალზე  
ვანრობთ,  
ზოგჯერ კალამს აწვევთა აფრა,  
ზოგჯერ თემებზე დაუნდობლად  
გვათოვს.  
ბევრჯერ მიზანს ასხლეტთა მუზა,  
თუმც ვანაჩენს მაინც გულით ვვლით,  
არაოსდეს განგვივითხავს ვინმე.

თვალზე ცრემლიც მოგვდგომია  
წრფელი.  
სტრიქონებზე განოლილა დამე  
და კალამიც ლაბირინთში მიჰქრის,  
დაუნდობლად მიმოფანტულ ნუთებს  
ბოლოს მაინც კუპლებდად  
ვითვლით.  
როცა ვგისმობს „ოდეონის“ ზარი,  
გულიც მღერის ტკბილად, როგორც  
ქნარი,  
ათი წელი შენთან ერთად ვიყავ  
და შენთან ვარ ცოცხალიც და  
მკვდარიც.  
ხარაგაულს გაფენილვარ თურმე,  
ლორემაში ვამიღვია ფეხევი,  
ათჯერ მიხმე, ცხარჯერ მაინც მოველ,  
მაინც გულით მათქმევიენი ლექსი.  
**მერაბ მისნიშვილი**

# მათი

თავპირახვეულმა მხედრებმა  
ფლოქეტებზე ნაბადაკრული ცხენებით  
გადმოლახეს ნისლიანი ხეგვეი და  
მთებს შორის ჩადგმული საქონლის  
სადგომებისკენ მალევით გასწიეს. ვიღ-  
რე ბინებს მიაღწევდნენ, მათემ დალან-  
და ავადმობრავ ჩრდილებს თვალი,  
ნახირს მკვირცხლად შემოუარა და  
ტყეში კლდეებს შორის მოფარებულ  
მყდრო თავშესაფარში შერეკა, თვი-  
თან ბორცვისკენ გაიქცა, რომ სათიბში  
ნასული მწყემსებისათვის გადაეძახა,  
- თავს დავგვეხსნენო.  
არ დარჩენიათ შეუმჩნეველი ცხენოს-  
ნებს მოზარდი. ერთი გამოეყო და ბიჭს  
დადევნა. სხვებმა ნახირს დაუწყეს ძებნა.  
მათე გარბოდა, ცხენოსანი მისდევდა,  
ქალამნიანი ფეხი ნამიან ბალახზე დაუს-  
რიალდა და ქომინთ არბენილ ბეჭობზე  
უკანვე ჩამოვლოდა. ადგომა სცადა,  
მგვრამ, ავის მზრახველი მხედარი ბიჭს

მეზოდან დაახტა და ქვეშ მოიქცია.  
გაუძალიანდა მოზარდი, ხელ-ფეხს  
აფართალხებდა. ერთხანს იბრძოლეს.  
ხელდასად რომ არ გასხლტომოდა,  
მუხლებში მოიქცია მხვერპლი გავეშე-  
ბულმა მოძალადემ, ბიჭი მტრის თავზე  
წაკრულ ქსოვილს მოეჭიდა, შალის  
ნაღები ჩამოიშალა. ბიჭი დაიხნა, - ვეღარ  
გავყო, ეყვირა თუ ვაჩერებულყო. მერე  
ტირილნარევი ხმით ჰკითხა:  
-რას ვაჩერნი, ჯოყოლაგ?!  
-ენა ჩავიდე, ბეჩავო!  
-არ შეგვარჩენენ ჩვენები! - არ შედრ-  
კა ბიჭი.  
მხვერპლდაუმორჩილებელმა ძალა  
მოიკრიბა და უფრო გაავებით შეეცადა  
მოზარდის მოთოკვას. ბიჭი კვლავ და  
კვლავ უძალიანდებოდა, მაშინ უსწ-  
რაფესი ვადანყვეტილებით საქმრებზე  
ჩამომბულ ქარქაშს ხანჯალი გააძრო,  
გაძალიანებული მხვერპლი კვლავ ფე-

ხეში მოიქცია და ველური სხელით მი-  
ნას ვაკრა. ავი განზრახვის მოლოდინში  
გამყინავი ხმით მოყვირალ მათეს ხმა,  
რომელიც ექოდ ცხოვეტებოდა ირველიც  
ჩაჩერვილ მათა კალთებს, საქონლის  
სადგომამდე აღწევდა და უკანვე ბრუნ-  
დებოდა. მოულოდნელად ექო შეწყდა.  
ვავეშებულმა ჯალათმა სისხლიანი ენის  
ნაჭერი შორს მოისროლა, ბიჭი კი სისხ-  
ლმდინარე პირით მიწაზე მიატოვა, ცხენს  
შემოევილო, ხანჯალი ნაბადზე განმინდა  
და მრისხანედ ჩამოსძახა:  
-ფეხებს მაშჩამენ შენები! - დამქა-  
შეთმა ერთად საქონელი აირეკა და  
მთებს მიღმა გაუჩინარდა.  
სოფელმა მთის ქიმზე ღვთის სახლი  
ავაო. ნირვისას სამრეკლოზე მღე-  
როდნენ ზარები, როგორც კი ვინმე  
ავადმოსურენ მოადგებოდა, უენო მათე  
სამრეკლოს მიაშურებდა და დელო ზარის  
მოთქმით უხმობდა სოფელს.  
**ღონარი ზარიძე**

# ზარი

ხეობებს მიღმა ნისლოფენილ ფერ-  
დობზე მოჩანდა ზარი. სოფლის ქარა-  
ფებს შემზრდილი ჩვენი სიცოცხლის, არსე-  
ბობის, მომავლის და უშომავლობის მაყ-  
ნე. ჩვენ კი ამ ლამაზ ფერებშიქარული,  
მეგობრობით და ერთგულებით ნამწენ  
სოფელში ვცხოვრობდით. გვიყვარდა  
ერთმანეთი, ვხარობდით, ვტიროდით,  
გვტკიოდა, ვდარდობდით და ველოდით.  
ველოდით შიშით, ველოდით იმედით  
და დრო გადიოდა... ვარდაუვლობის  
შიში გვტანჯავდა, ვვიღრნიდა ფიქრებს -  
ვიცოდით, აღრე თუ გვიან აუცილებლად  
დარეკვდა ზარი, შეზარავდა სოფელს,  
ავვირეკდა დამშვიდებულ ცხოვრებას  
და თემის საყრილობოში თავმოყრილ  
ხალხს ვეაუნყებდა, რომ ერთი ადამი-  
ანით, კიდევ ერთი სიცოცხლით დაობლ-  
და სოფელი...

გზა მოიყვანეს ჩვენს სოფელში იმ  
წელს... ყველას ვგვიხაროდა. ახალმა,  
ჯერ არგამოცდილმა იმედმა და უკეთესი  
მომავლის რწმენამ აგვავსო, თუმცა სი-  
ხარულმა დიდხანს არ გასტანა და ერთ  
დღილას მების ვავარდასავით გაისმა  
ზარის ხმა. ახმაურდა სოფელი, თემის  
საყრილობო ხალხით გაიგხო, ზარი  
კი ისევ გაბმულად რეკავდა. უცნაური,  
ჯერ არნახული რამ ხდებოდა ჩვენს  
სოფელში. არავინ ვარდაცვლილა იმ  
დღით, არავინ შემოსილა ქერივის სა-

გაფანტა მარტოობა, უძრაობა და ისევ  
გამოჩნდა სოფლიდან გასასვლელი  
ქალაქისკენ მიზადანი გზები...  
ცეცხლივით მივიღო გლოვის ექო  
მთელ შემოვარენს. ყოველ დღით  
ახალ სატოვარს ვგვამუნობდა ნაცნობი  
ზარის ხმა. ყოველ დღით უფრო და  
უფრო ცოტანი ვიკრიბებოდი თემის  
საყრილობოზე და ერთი თჯახით მეტი  
ტოვებდა სოფელს...  
იყო დრო, - ამ სოფლისთვის,  
მთებისთვის, ქარაფებისთვის და ხე-  
ობებისთვის ვიბრძოდით, ვომობდით,  
თავს ვწირავდით, სისხლს ვღვრიდით  
მტრისა წილ. ახლა კი - ახლა ჩვენს  
სოფელამდე გზა მოიყვანეს...

იმედი ჭარბობდა შიშს. იმედი იმისა,  
რომ შიმწარევი მოლოდინი დიდხანს  
გაგატანდა, ჯერ კიდევ არ შეგვახსენებდა  
თავს გლოვის ექო. ზარი კი ჯიბედა  
რეკავდა! იმედიანად, მგვრამ მაინც და  
ყველას გვტკიოდა, ყველა ვკარგავდით,  
განვიცდიდით, თანავგვრძნობდით,  
გულსა და ვონებში ვინახავდით ყვე-  
ლა დანაკლისს, სანამ ჩვენს ხსოვნას  
შეინახავდნენ ამ ქვეყნად დარჩენილნი.  
ქარიშხალივით ვადრეკიოდა, ვა-  
თელავდა ხოლმე დროთა ქარტეხი-  
ლი დიდს თუ პატარას, მდლარს თუ  
ღარიბს, ძლიერს თუ უძლურს. შემდეგ  
ახალი სიცოცხლით, მიხნებით და იმე-  
დებით ავსებდა სოფელს და დროებით  
შეფარავდა, მიაყურებდა სატკივარს.  
დრო კი უხედარი ულაყიფით სწრაფად,  
უგზოუკვლოდ მიქროდა...

მოსელით, არ დაობლებულან ბავშვები,  
ზარი კი მაინც განაგრძობდა გლოვას.  
ყველამ მოიყარა თავი, ელოდნენ  
ახალი სიკვდილის განაჩენს, მხოლოდ  
ერთი თჯახი აკლდა საყრილობოს... იმ  
დღით პირველად დატოვეს სოფელი  
ადამიანებმა და წავიდნენ ქალაქში  
საცხოვრებლად...

მოსელით, არ დაობლებულან ბავშვები,  
ზარი კი მაინც განაგრძობდა გლოვას.  
ყველამ მოიყარა თავი, ელოდნენ  
ახალი სიკვდილის განაჩენს, მხოლოდ  
ერთი თჯახი აკლდა საყრილობოს... იმ  
დღით პირველად დატოვეს სოფელი  
ადამიანებმა და წავიდნენ ქალაქში  
საცხოვრებლად...

ერთი კვირა იგლოვა ზარმა უმისობა,  
შემდეგ კი დაიღალა, მიჩუმდა. წელ-  
წელა ჩვეულ რიტმს დაბრუნდა სოფე-  
ლიც, თუმცა უჩვეულო სიჩუმე და ყინ-  
ვები აჰყვა სასველად. მკაცრი ზამთარი  
გაბატონდა სოფელზე. გზები ჩაიხერვა,  
მარტოობას, საკუთარ საფიქრალთან და  
სატკივართან ყოფნას, უერთმანეთობას  
შეიჭია ყველა. სახლების საკვამურიდან  
ამოსული კვამლი შეგვახსენებდა ხოლმე  
ერთმანეთის არსებობას. ყველა გზის  
მიღმა დარჩენილ მარტივ ცხოვრებაზე  
ფიქრობდით, ზარი კი დუმდა! დუმდა  
სანამ გაზაფხულის სუსხიანმა მზემ არ  
გააღლო „თეთრი სიმორე“. მარტმა

დავანდა სოფელი იმის მემში-  
ნია, რომ ჩვენს სოფელში აღარავინ  
კვდება...  
უკვე ხუთი წელია, რაც ჩვენ სოფ-  
ელამდე გზა მოიყვანეს. ხუთი წელია  
ჩვენი სოფლის ხეობებს მიღმა, ფერ-  
დობებს შემზრდილი ზარი ახალ სატკი-  
ვარს გლოვობს! თითქმის ორი წელია  
ხმა აღარ მშემენია. ორი წელია, რაც  
სოფელში მარტო დავრჩით - მე, თემის  
საყრილობო, სოფლის სალოცავი და  
ცარიელი სურთობდებულ სახლები...  
აქ ყოველდღე უიმედობისფრად თენ-  
დება და ღამდება. დიდი ხანია ამ სო-  
ფელში არავინ ვარდაცვლილა! ჩვენ-  
თან სულ ბოლოს სოფელი მოკვდა...  
აქ მარტობაა! უმომავლობა!  
ვეღარ გძლებ - მივიღვარ!  
ხვალდან დარეკავს ზარი!...  
**შოთა ბოლუშიაშვილი**



# პროფილაქტიკური გამოკვლევა დაავადებების წინააღმდეგ

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) განაგრძობს სხვადასხვა დაავადებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.

29 სექტემბერს წიფასა და ზვარუში გაიმართა შეხვედრები ჰელაგოვებთან, სადაც შმაგი ხიჯაკაძემ ისაუბრა C ჰეპატიტის გამოწვევი მიზნების, გადაცემის გზების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესების შესახებ. მისი ინფორმაციით, ოქტომბერში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის იგეგმება C ჰეპატიტიზე უფასო გამოკვლევები.

C ჰეპატიტი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო-სოციალური პრობლემაა. ინფიცირებულთა რიცხვი 150-200 მილიონს აღწევს. ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 1-3 მილიონი ადამიანი ინფიცირდება. მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა არ იცის, რომ ის C ჰეპატიტის ვირუსის მატარებელია. ინფიცირება შეიძლება მოხდეს ვირუსით დაბინძურებული სისხლის კონტაქტით მეორე ადამიანის

სისხლთან. ინფიცირება ხდება: ინფიცირებული სისხლის გადასხმისას; ნარკომანების მიერ საზიარო ნემსის გამოყენებისას, აკუპუნქტურისას; არასათანადოდ გასტერილებული, არაერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას; მანიკურისა და კოსმეტიკური მანიპულაციებისას; სტომატოლოგიური მანიპულაციებისას; დაბინძურებული ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტისას; საერთო სამართებლის, საერთო ჯავრის, სისხლით დაბინძურებული ბამბის გამოყენებისას; პირსინჯის დროს; დაავადებულის პირის ღრუსთან შეხებისას (კოცნისას); ადამიანის მიერ ადამიანის კენისას; სისხლმღენი ღრძილების მქონე ადამიანის კბილის ჯავრის გამოყენებისას; დაბინძურებული სააბაზანო აქსესუარების გამოყენებისას; ქესლობრივი კონტაქტისას, რომელსაც თან სდევს სისხლდენა.

ორგანიზმში C ჰეპატიტის ვირუსის შეჭრიდან დაახლოებით 6-8 კვირის, ხშირად უფრო მეტი ხნის შემდეგაც, ვითარდება მწვავე C ჰეპატიტი, რომელიც 100-დან

დაახლოებით 75 შემთხვევაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. 25%-ში ვითარდება სიყვილოთი მიმდინარე ფორმა. მას, გარდა სიყვილისა, თან სდევს ჰეპატიტის სხვა ნიშნებიც. ამ შემთხვევაში დაავადების სიმპტომურ ფორმაზე საუბრობენ. მწვავე სტადიის შემდეგ 100-დან 70-85 შემთხვევაში დაავადება ქრონიკულ ფორმად გადადის. ქრონიკული C ჰეპატიტი განსაზღვრულ საფეხურამდე პრაქტიკულად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, დიაგნოზი მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად ისმება: ორგანიზმში C ჰეპატიტის ვირუსის სანინალმდეგ ანტიხეივლებისა და თვით ვირუსის გენეტიკური მასალის აღმოჩენა ქრონიკულ C ჰეპატიტზე მიანიშნებს. ერთგვარ დამხმარე ინფორმაციას გვაწვდის ბიოქიმიური და ექსკოპოური გამოკვლევების მონაცემებიც.

ცნობილია, რომ მკურნალობის გარეშე ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებულთა საშუალოდ 30%-ს ვირუსით ინფიცირებიდან 20-30 წლის შემდეგ შესაძლოა განვი-

თარდეს ღვიძლის ციროზი, რომელიც ისეთ გართულებებს იწვევს, როგორცაა ჰეპატოცელულარული კარცინომა (ღვიძლის კიბო) ან ღვიძლის უკმარისობა. ქრონიკული ფორმა თავისთავად არ იკურნება. ამჟამად C ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენება კომბინირებული ანტივირუსული თერაპია სოფოსბუვირით, ინტერფერონითა და რაბავირინით. ბავშვებისთვის 3 წლიდან ნებადართულია ინტერფერონ ალფა 2ბ რიბავირინი, 1.

ინფიცირებულთათვის სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარების ხელმისაწვდომობისა და მისი წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და პაციენტებისათვის ის არის უფასო. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში. გამოკვლევა ჩატარდება სწრაფი, 15 წთ-იანი ტესტის მეშვეობით. ზუსტ ინფორმაციას, თუ როდის ჩატარდება გამოკვლევა, გაზეთის საშუალებით შეიტყობთ.

29 სექტემბერს სოფელ წიფასა და სოფელ ზვარუში საჯარო სკოლის 1-3 კლასების მოსწავლეებს ჩაუტარდათ უფასო გამოკვლევა პარაზიტებზე. გამოკვლევა ჩატარდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ექიმმა-პარაზიტოლოგმა ნინო ყიფშიძემ. გამოკვლევები მოიცავს მთელს მუნიციპალიტეტს. შემდგომში მკურნალობის პროცესიც იქნება უფასო. გამოკვლევებისა და მკურნალობის დაფინანსება მოხდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ასევე სამომავლოდ იგეგმება, ხარაგაულში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადების, ჩიყვის უფასო გამოკვლევები. ასევე დაგეგმილია ამ დაავადების შესახებ ლექცია-სემინარი. მოსახლეობას მიენიშება სრული ინფორმაცია ჩიყვის დაავადების ძირითადი ჩივილების, გამოწვევი მიზეზების, სიმპტომატიკის, კლინიკური სურათის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ. **ნანა ბარაძე**

# თაფლის ლაბორატორიული კვლევა ევროპული სტანდარტებით

სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში (LMA) ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისი თაფლის კვლევების სრული სპექტრის დაწესების მიზნით, მნიშვნელოვანია როგორც ზოგადად მეფუტკრეობის დარგის აღორძინებისთვის, ასევე ქართული თაფლის სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტირების ხელშეწყობისთვის.

თანამედროვე კვლევის მეთოდებით თაფლის პროდუქტის შემოწმებისას მოხდება ისეთი რთულად გამოსაკვლევი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორცაა ანტიბიოტიკების და პესტიციდების შემცველობა. აღნიშნულ მახასიათებლებზე კვლევას ევროკავშირის სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის საფუძველზე ითხოვს. იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა, საკუთარი პროდუქციის რეალიზება ევროკავშირის ბაზარზე მოახდინოს, ექსპორტირებული

საქონელი ამ ქიმიურ ნაერთებს არ უნდა შეიცავდეს.

მეფუტკრეობის დარგის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, ევროკავშირის სტანდარტის კვლევების დაწესების უზრუნველყოფისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში უახლესი, მაღალტექნოლოგიური აპარატურა შეიძინა, რამაც შესაძლებელი გახდა აღნიშნული კვლევების საქართველოში ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ LMA-ში ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგები აღიარებულია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ამას განაპირობებს 2014 წლის მარტში ლაბორატორიის მიერ მიღებული ISO 17 025 საერთაშორისო აკრედიტაცია ANAB-დან, რაც საშუალებას აძლევს ლაბორატორიას ჩატარებული კვლევის

შედეგები საერთაშორისო მასშტაბით იქნეს აღიარებული.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) გაფორმების შემდეგ, საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. საერთაშორისო დონის ლაბორატორიის არსებობა DCFTA-ის გათვალისწინებული ვალდებულებაც იყო.

მეფუტკრეობის დარგი, თავისი პოტენციალიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესაბამისად, შემუშავდა პროგრამა, რომელიც მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას, განვითარებას, ხელშეწყობას და საწარმოო პროცესებში მაქსიმალურ ჩართვას ითვალისწინებს. გამოდინარე იქიდან, რომ პროგრამის ამოქმედება ხდება საბაზო წერტი-

ლიდან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადამწყვეტილებით, ლაბორატორია თავიდან 1 ნიმუშის ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად კვლევას რეგლამენტით გათვალისწინებულ სრულ სპექტრზე, მეფუტკრეობის კოოპერატივებს შესთავაზებს სრულიად უსასყიდლოდ (2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის სურსათის უვნებლობა სავალდებულო მოთხოვნა არა მხოლოდ საერთაშორისო დონეზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც, რასაც არეგულირებს „თაფლის ტექნიკური რეგლამენტი“.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სურსათის კვლევის დეპარტამენტში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 23 სექტემბრის ჩათვლით, თაფლის ხარისხობრივ კვლევაზე სულ შემოსულია 102 ნიმუში, აქედან 47 ნიმუშს ჩაუტარდა სრული



კვლევა. 53 ნიმუში გამოკვლეულ იქნა ნატურალობაზე (ჰიდროქსიმეთილფორმალდეჰიდის აღმოჩენა), საიდანაც მხოლოდ 1 ნიმუში აღმოჩნდა არანატურალური.

ლაბორატორიულ ქსელში თაფლის დიაგნოსტიკისათვის წარმოდგენილი ნიმუში უნდა იყოს არანაკლებ 400 გრამის რაოდენობის და ინახებოდეს სუფთა, დახურულ ჭურჭელში.

**სალომე ძარაძი**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი  
591 07 96 89  
[www.lma.gov.ge](http://www.lma.gov.ge)

# საგზაო უსაფრთხოების ახალი სტრატეგია



საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარადგინა. დოკუმენტზე ასევე მუშაობენ განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები და თბილისის მერია. რას ითვალისწინებს ეს სტრატეგია და რა გამოწვევების წინაშე დგას საქარ-

თველო საგზაო უსაფრთხოების კუთხით?

საქართველოში გზებზე სიკვდილიანობა ორჯერ მეტია ევროკავშირის ქვეყნების ზოგად მაჩვენებელზე. ეს ერთ-ერთი პრობლემაა, რის გამოც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება გახდა საჭირო. როგორც ინფრასტრუქტურისა და რეგიონ-

ალური განვითარების მინისტრმა **ნოდარ ჯაპახიანი** განმარტა, ეს დოკუმენტი ჯერ უფრო ზოგად მიმართულებებს მოიცავს და მის დასახვეწად მუშაობაა საჭირო: „**პროექტის სტრატეგიული დოკუმენტი წარმოადგენს, თუმცა პრიორიტეტულია მისი განხილვა და დამტკიცება. მისი მიზანშეწონილია, რომ საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშავდეს და იქნეს მიღებული. ეს უნდა მოხდეს 2016 წლის ბოლოსთვის.**“

სტრატეგიაზე ერთდროულად რამდენიმე სამინისტრო იმუშავებს. ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროსთან ერთად სტრატეგიის დახვეწაში ჩართულნი იქნებიან განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიც. როგორც თბილისის მერის მოადგილე **ირაკლი ლეჟინაძე** განმარტავს, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ სტრატეგია სხვადასხვა საკითხს მოიცავს: „**თბილისსა და ამავე საქართველოში ანიჭებულია განსაკუთრებული ყურადღება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გათვალისწინდეს ქალაქში, თუმცა, მისი თქმით, მინისგედა და მინისქვეშა ავტოსადგომების ასაშენებლად მუშაობა უკვე დაწყებულია. მისივე თქმით, იგეგმება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება. ახალი ავტობუსები თბილისში 2016 წელს უნდა შემოვიდეს.**“

**გიორგი გოგუა**  
რადიო თავისუფლება

**ცნობიერების ამაღლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოქარაობის კუთხით.**

„ინფრასტრუქტურა, მანქანა, ადამიანი“ - ამ სამი კომპონენტით აღწერს **ბელა კვაშილაძე**, დამფუძნებელი ფონდისა „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“, გამოწვევას, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას საგზაო უსაფრთხოების კუთხით. მისი განმარტებით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ ქვეყანაში გზების დაგეგმვის მეთოდოლოგია მოძველებულია და მისი მანქანებზე უფროა გათვლილი, ვიდრე ადამიანებზე. ხოლო ამ პრობლემის გადასაჭრელად, მისი აზრით, უნდა არსებობდეს ერთი კომპეტენტური სამსახური, რომელიც მთელ პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს: „**პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს ვაშლიანი ორბანიზაცია, ვინც ავაზე აკანონოვს იმეზა. ჩვენთან ეს უწყვეტი იქნება სხვადასხვა უწყვეტად განაწილებული და ისიც ხშირად ერთმანეთისგან**



# დროის სწორი მენეჯმენტი, როგორც წარმატების გარანტია

თანამედროვე სამყაროში არსებობისა და წარმატებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის რაციონალური განაწილება და მისი სწორი მენეჯმენტი. დროის მენეჯმენტი დროის მართვის ხელოვნებაა, რომელიც იძლევა საშუალებას, ზუსტად განაწილოთ პირადი და სამუშაო დრო. შედეგად კი, მიღწეული წარმატებებს და შეძლოთ საკუთარი დროის მართვა, რაც ნიშნავს მართო საკუთარი ცხოვრება და არ „მიჰყვებ ცხოვრების დინებას“. დღევანდელი ცხოვრების რიტმი, უმეტესად, სწრაფია. ადამიანები მუდმივად განიცდიან დროის უკმარისობას და ამის გამო, ვერ ახერხებენ მოასწარონ გონებაში დაგეგმილი საქმიანობა. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება პროდუქტიულობის დაქვეითებას და პრობლემების დაკარგვას. იმისათვის, რომ სწორად მართოთ დრო, უნდა გაითვალისწინოთ რამდენიმე წესი, რომელთა შესრულების შემთხვევაში მაქსიმალურად დაზოგავთ დროს.

**1. ღაბღაბა** - ისინი, ვინც აღწევენ წარმატებას ცხოვრებაში, დიდ დროს უთმობენ დაგეგმვას. ყოველდღიური დაგეგმვა აუცილებელია პრობლემების განაწილების და დროის ეფექტური გამოყენებისათვის. ფიქრი და დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ქალაქში. თუ მიზნები არ არის ქალაქში, მაშინ ისინი არც არსებობს.

**2. განსაზღვრული მთავარი** - დროის მენეჯმენტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დროულად განისაზღვროს მთავარი საქმე. პრიორიტეტების განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს ეფექტურად ვმართოთ საქმეები და თითოეულს მივაძღვოთ მნიშვნელობის განსაზღვრული დრო.

დროის მართვის ძირითადი საიდუმლო კონცენტრირებასა და მიზანდასახულობაშია, უნდა მოახერხოთ საქმიანობის თანმიმდევრული შესრულება.

**3. ჩამოყალიბებული იმპულსური მენეჯმენტის კანონი** - დრო არასოდეს არ არის საკმარისი, მაგრამ იგი ყოველთვის საკმარისია ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის. ამისათვის, უნდა მოვიკრიბოთ ძალები და გავაკეთოთ პირველი რიგში ის საქმე, რომელიც მოვიტანს ყველაზე მეტ სარგებელს. საქმიანობა უნდა დაიწყოს 4 ჯგუფად: 1. სასწრაფო და მნიშვნელოვანი; 2. მნიშვნელოვანი, მაგრამ არასასწრაფო; 3. სასწრაფო, მაგრამ არა მნიშვნელოვანი; 4. არასასწრაფო და არამნიშვნელოვანი.

**4. სიტყვა „არა“ ღაბღაბას უპირისუფლებს** - ყველაზე მთავარი სიტყვა დროის დასაზოგად არის „არა“. ისწავლეთ უარის თქმა ისეთი ამოცანების გადაწყვეტისას, რომლებიც არ შედის თქვენს პრიორიტეტებში.

**5. წონასწორობის პრინციპი** - ყველაზე მარტივი მეთოდი მუდმივად მზარდი სამუშაოს გამო პანიკისაგან თავის დასაღწევად არის მეთოდი - ღრმად ამოისუნთქეთ და თქვათ: „ეს არის ის, რაც მე შემეძლია“ და დაიწყეთ სისი შედგენა მშვიდად. თქვენს წინაშე მდგარი ამოცანების ანალიზით მიხედვით, რომ დრო სრულიად საკმარისია სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანების გადასატარებლად.

დროის სწორად განსაზღვრვის მიუხედავად, მას მიწვევს დაბრკოლებები ე.წ. „დროის ქურდები“ არსებობის გამო. მათ მიეკუთვნება: მიზნების არაშესტი განსაზღვრა; ერთ ჯერზე ბევრის გაკეთების მცდელობა; შრომითი დღის სუბი დაგეგმვა; მო-

ტივაციის ნაკლებობა; შემთხვევითი სატელეფონო ზარები; გადაჭარბებული კომუნიკაბელობა; ყველაფრის დანერგვით ცოდნის სურვილი და ა.შ.

დროის მენეჯმენტი ასევე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის თანამედროვე ბიზნესში. მისი სწორი გამოყენება მნიშვნელოვანი ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც ისწრაფვის წარმატებისაკენ. ამბობენ, რომ დროის დეფიციტი არ არსებობს, ჩვენ საკმაოდ ბევრი დრო გვაქვს იმის გასაკეთებლად, რაც გვინდა. მთავარია მისი სწორად განაწილება. დროსთან დაკავშირებით უნდა გავისხინოთ ფრანკლინის ფრაზა „დრო ფულია“, ის დროს აღიქვამდა ერთ-ერთ ღირებულ ფაქტორად.

ის, რომ აღნიშნული პრობლემები აქტუალურია, ამის დამტკიცება ძნელი არ არის, მისი გამოვლინებები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. შედარებით რთული მის წინააღმდეგ ბრძოლაა, თუმცა არც ესაა მოუგვარებელი. მთავარია ყოველთვის გვასწავდეს, რომ დროს ვერც უკან დააბრუნებ და ვერც დააჩქარებ. დროის ფაქტორი განუსაზღვრელი ღირებულებისაა, რადგან ყველაფერს დასაწყისი და დასასრული აქვს. დრო განურჩევლად ყველას თანაბრად ეძლევა, ყველას იმდენი დრო, წამი, წუთი, საათი გვაქვს, რამდენიც იმ ადამიანებს, რომლებსაც შეძლეს საკუთარი დროის ეფექტური მენეჯმენტი და წარმატებას მიაღწიეს.

**ბაია კუბლაშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

# ლილი ბარბაქაძე-ლაცაბიძის ნათელ ხსოვნას



„მეზობელი კარისათ, სინათლე ხარ თვალისათ,“ - მართლაც რომ ყველასთვის სინათლე და სიხარული იყავი, ჩვენი შესანიშნავი, იუმორით დაჯილდოებული რძალი. გავიდა უშენოდ ეს გაუსადღისი 40 დღე და შენმა ნათელმა სულმა გადაინაცვლა სამუდამო სასუფეველში. გვიმძიმს და გვიჭირს უშენობა, მაგრამ უფლის კანონს წინ ვერავინ დაუდგვით. უფალს ვევედრებით, ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს შენს კეთილ სულს.

**ოქსალია ივანიაძე, გულიკო, ამახლო, რაჭაზი ოჯახში**

# ლილი ბებიკოს მოგონება



მოგონება... ბებო, რა ძნელია ეს სიტყვა ჩემთვის, როდესაც თვალწინ დამიდგება შენი ლამაზი სახე, - მუდამ ხალისიანი, მხიარული და ენერჯული. მაგონდება შენი თბილი ღარიბები, შენი ყველაზე თბილი მოფერება და უცებ ერთ წამში ყველაფერი დამთავრდა. მხოლოდ ერთი წამი იყო საჭირო, რომ გადაგვეჩინე, მაგრამ არ მოხერხდა. ვანცადა ცხოვრების ის ჯაჭვი, რომელსაც 71 წელი ერქვა და დამრჩა მარტო ტკბილი მოგონებები.

როგორ მინდა შენი ტკბილი ხმის გაკონება, როგორ მინდა ისევ მოვეფერო და გულში ჩავიკრა, როგორც ვეფერებოდით ერთმანეთს. შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ბებოს ეტალონი იყავი.

ყოველი დღე მძიმეა ჩვენი ოჯახისთვის და ყველასთვის, ვინც კი ვიცნობდა. შენი ამ ქვეყნიდან წასვლა მარადიულ სასუფეველში ისეთივე ამაღლებული იყო, როგორც შენგან განვლილი 71 წელი. ამიტომ ავირჩია უფალმა და გადავასახლა მარადისობაში. შე კი

გულნატკენი და თვალცრემლიანი დავრჩი. მიყვარხარ და მენატრები... აქ შეფერდები, ბებო, რადგან იმდენი მაქვს სათქმელი, ვერც ერთი გაზეთის ფურცელი ვერ დაიტევს ჩემი ვულის ტკივილს. იძინე მშვიდად. მხოლოდ ერთს ვევედრებ უფალს - ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული. შენს სიყვარულს და სახელს არასოდეს დავივიწყებ, ბებოკო.

**ლილი ლაცაბიძე**

# ჭაფაროულის დიდი ტკივილი ხარ, ძმაო (ირაკლი ბუხნიკაშვილის მოსაგონარი)



ჭაფაროული ჩვენი ვერაა, გამზრდელია, ძმაო, ირაკლი. აქ დაფრთხილდით. ჩვენი მშობლები ერთ-ერთად და ლამაზად ცხოვრობდნენ, ერთი შქონდათ ჭირიც და ლხინიც. ჩვენც ისე ჩავგახუტეს ერთმანეთს, რომ ოჯახისშვილებში არ დავირჩევით. ბევრი ვნახეთ სიხარულიც და ტკივილიც, ცხოვრება რთული ყოფილა. ბევრი ახალგაზრდა, სიცოცხლოთ გაუმაძღარი ადამიანი

გამოგვაკულდა სოფლიდან, მაგრამ შენ ყველასგან განსხვავებული და მოუშუშებელი ტკივილი ხარ, ძამიკო. გვერდში მდგომი და ლამაზი ვაუკაცი გამოაკლდა სოფელს, მეგობრებს, ოჯახის იმედი და ოცნება იყავი. ასე მოკლე დრო რატომ მოგვცა, ძმაო. რას იზამ, ნათქვამია, ღმერთსაც კარგი უნდაო... შენ გამორჩეული იყავი ყველაფრით: თავაზიანი, განონასწორებული, განათლებული. დაგვაკლდა ყოველმხრივ მოწესრიგებული და შემკული მეგობარი. ჩვენ ვერაფერს შევცვლით, უძღურნი ვართ მისი კანონების წინაშე, მაგრამ გპირდებით, შენს ოჯახს ვვერდში დავუდგებით, ვანუგებებთ და ათასჯერ გავუმეორებთ, რომ მათი საყვარელი შვილის - ირაკლის სახელი მუდამ იქნება მის საყვარელ ჭაფაროულში. მეზობლები და მეგობრები შენს არყოფნას შევესუბუქებთ, თვალზე ცრემლს შევუმშრალებთ და გვერდში დავუდგებით. სიტყვები არ გვეყოფა, შევძლებთ კი მათ ნუგეშს: გამზნა-

რებული მშობლები, ბებია და ბაბუა, გამზრდელი მამიდა, გულმკვდარი ბიძა და ბიძაშვილები, საყვარელი დაიკო - უსაზღვროა მათი სევდა, მაგრამ გპირდებით, რომ შევიცდებით! შენ მარტო შენს ოჯახს კი არა, ჩვენს ლამაზ სოფელს დააცვლი, ძმაო. ჭაფაროულის დიდი ტკივილი ხარ, ირაკლი. ზღვა ცრემლითა და დიდი სინანულით გავაცილები.

იძინე მშვიდად. ჩვენ ერთმანეთს ბავშვობაშიც არ ვაკადრებდით ტყუილს. ირწმუნე ჩვენი, რომ მოუშუშებელია ის დიდი ტკივილი, რომელსაც ვგრძნობთ. შენი სახელი უკვდავი იქნება, თაობებს გადაეცემა. ცხოვრებას შენი საყვარელი ინვა გაავრცელებს. ჩვენც მის გვერდით გვივლევ.

უფალს ვთხოვთ, ადგილი მართალთა შორის დაგიმკვიდროს. ჩვენ კი ვილოცებთ შენი სპეტაკი სულისთვის. მსუბუქი იყოს შენს გულზე საყვარელი ჭაფაროულის მინა.

**ჯავახიშვილის ახალგაზრდობი**

# მვინატრები, ბურაბ...



უკვე ერთი წელი გავიდა, რაც შეიკურ სასუფეველში დაიდეთ ბინა. ნახვედით ჩვენგან და დავგიტოვეთ უსაზღვრო ტკივილი, სევდა და მონატრება. დიახ, მონატრება, რადგან ვეღარ ვხედავთ თქვენს ღიმილიან სახეს, აღარ გვეხმის იუმორით საესე თქვენი ომახიანი ხმა. სულ მოძრა-

ობაში მყოფს, სულ მოჩქარეს, ალბათ გინდობდა ყველაფერი მოგესწროთ, ყველგან და ყველაფერში სიკეთის კვალი დავტოვევინათ. განა ადგილია, 32 წელი ერთ დაწესებულებაში ხელმძღვანელად იმუშაო. თქვენც კი ეს შეძელით და თანაც როგორ. დამისახურეთ მისწავლეების, მშობლების, პედაგოგების დიდი სიბოძო და სიყვარული. მერედა, როგორ ვიხარობდათ თქვენი სკოლის წარმატებები. იცოდით სხვისი დარდისა და ტკივილის გამოარება და გვერდში დგომა. თქვენი განვლილი ცხოვრების გზა, - ესაა კაცურკაცობის, ნამდვილი ადამიანობის გზა. კარგ შედეგებს, მშობელს, მეუღლეს, მეგობარს, თანამშრომელს, მეზობელსა და ნათესავს ყოველთვის მოგიკონებენ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. სიცოცხლოთ კი ვაძეგლებთ. ღმერთმა გიმრავლოთ თქვენი შვილიშვილის, პატარა სანდროსნარი შთამომავლები. განისვენეთ მშვიდად.

**ხვიის საჯარო სკოლა**

შვილები ნანი, მეველდი, სიძე იუზა თაბუკაშვილი, რძალი თამარ სიდამონიძე, შვილიშვილები თეა, თამთა, გიორგი, ნატა იუნცებთან, რომ ვარდაიცვალა

**შუშუნა კატრინა ასული არამაძე-კიკნაძე**  
დაკრძალვა 10 ოქტომბერს ხარაგაულში. მისამართი: სოლომონ მეფის ქ. №113.

მეუღლე ლილი, შვილები მთვარისა, იამზე, ამური ტაბატაძეები, სიძეები ზაზა გაგუა, მერაბი სულუაშვილი, რძალი თინიკო ნიქაძე, შვილიშვილები გიორგი, დათუნა, ნინო, ნინო, ნიკა, თამუნა, მარიამი, ძმა ვივი, და ნაზი, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუნცებთან, რომ ვარდაიცვალა

**კაკო ტაბატაძე**  
დაიკრძალა 4 ოქტომბერს სოფ. მარელისში.

ხიღრის საჯარო სკოლის პედაგოგიკური სამმომარს უცხადებს გულონ და ხათუნა ბერაძეებს დისშვილისა და მამიდაშვილის

**დათო კვიციანი**  
გარდაცვალების გამო.

# ბია აბულაძის მონატრება



გია, ჩემო გაუნელებელი ტკივილო, უანგარო, უბოროტო და თბილო ძამიკო, რა ძნელია შენზე მოგონება. უსასრულოა ტკივილი და ფიქრი, რომ შენ აღარა ხარ ჩვენს გვერდით. სულ თვალწინ მიდგას შენი სათნო გამოხედვა, შენი ღიმილი. შენ ხომ სულიც ლამაზი გქონდა. უფალმა უამრავი სიკეთით დაგაჯილდოვა, ამიტომაც დანყვიტე ამდენ ადამიანს გული. ვერ ვუძლებ, ძმაო, შენი სურათების ცქერას. შენ ხომ ზუსტად ისეთი ადამიანი იყავი, როგორიც იქედან გვიცქერ. დედა და მამა რით ვანუგებო. გულმოკლე დატოვე და უცქერია შენს დანყვიტულ და დაუმთავრებელ საქმეებს. შენი ცოლ-შვილი რით ვანუგებო, ფრთამოტეხილი და განახევრებული შენი მარინა, შენი ბავშვობის მეგობარი და სიყვარული, ნადრედად მოუწიათ შენი წილი ტვირთის ზიდვა შენს ლამას და ომარკოს. უშენობით გამოწვეულ სიყვარულს ვერაფრით ვესებს შენი ნაბოლარა და საყვარელი მზიკო.

ძამიკო, ჩვენ ყველა ერთმანეთს

ვუმალავთ ცრემლებს, მაგრამ არის ერთი გამოსავალი, უფალი, რომელსაც უხილავი გზა აქვს ჩვენს გადასარჩენად. ჩვენს ამ გზას დაგვადგებით ლოცვითა და გვემით, რომ შენმა სულმა დაიმკვიდროს ცათა სასუფეველი. ჩემო ძამიკო, მემამაცები შენი განვლილი ცხოვრებით, ჩემო სულის ტკივილი. უფალს ებარებოდეს შენი სპეტაკი სული.

**მინი და ლელა ოჯახში**

უახლოესი მეზობლები: ლერი ვეფხვაძე, ნუნუ ტყემელაშვილი, დემური არევაძე, ვახტანგი ინასარიძე, თემური ბერაძე, ნანა შარიქაძე ოჯახებით იუნცებთან, რომ ვარდაიცვალა საუკეთესო მეზობელი

**კაკო ტაბატაძე**  
და სამომარს უცხადებენ განსვენების ოჯახს.

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის პედაგოგიკური და ტექნიკური სკოლის თანამშრომელს მარინე გრიგალაშვილს ბიძის

**ალიოზა გრიგალაშვილის**  
გარდაცვალების გამო და სამომარს უცხადებთ განსვენების ოჯახს.

ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პედაგოგიკური და ტექნიკური თანამშრომლები ნინო ბუხნიკაშვილს ბიძაშვილის

**ირაკლი ბუხნიკაშვილის**  
გარდაცვალების გამო.





### შოთა თაბაგარი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორია

3-5 ოქტომბერს ამბროლაურში ჭიდაობის კლუბ „ფალავანის“ ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირი მსოფლიოს ორგანიზაციის, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, გურამ საღარაძის სახელობისაა.

### სწავლა სინათლეა

მასწავლებელთა საქმიანობის დანაშაულები, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ამოქმედება და დანერგვა დიდნი-ლაღ დამოკიდებულება, თუ რამდენად სწორად გაიაზრებს სქემის ჩართული პირი თავის უფლებამოსილებებს. ჩვენს სკოლაში მძიმე ვითარებას განაპირობებს მასწავლებლების შეფასების ჯგუფი. სკოლაში ყველა პირობა აქვთ მასწავლებლებს, აიმალონ კარიერა. მოეწყოს ახალი კაბინეტი, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და ახალი ავეჯით. ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში მასწავლებელთათვის მეთოდური ლიტერატურა, შევიძინეთ საგნების მიხედვით თვალსაჩინოებები, განახლდა სკოლის ინფრასტრუქტურა. ბატონი გიორგი კერესელიძე ამბობს: „ბავშვის მხოლოდ ჩარჩოებში ჩასმა, ეს ბუნებრივი თქონის ვალიაში დამწყვეტევაა, რომელიც ბრწყინ-

### პროფესიულ დღესასწაულს მილოცავთ, მემობრებო

არიან ადამიანები, რომელთა სახელებს დაეინყებო არ უნერია. ასეთია ჩემი და არა მარტო ჩემი პირველი მასწავლებელი, ან განსვენებული ქალბატონი მარო ბუაჩიძე სოფელ ფარცხნალის სკოლიდან. საყვარელი მარო მასწავლებელი - თვითონ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი. მის გამო გადაწყვიტე, მასწავლებელი გავმხარაიე. ცხოვრებაში მრავალი ლამაზი დღე შექმნა - მონაწილეობის ხანა, სტუდენტობის წლები და ყველაზე მთავარი - 1965 წლის 14 ოქტომბერი, როცა მაშინდელი განათლების განყოფილების გამგის, ბატონ შოთა ჩხიკვაძის ბრძანებით, პირველად შევალე სკოლის კარი, როგორც პედაგოგმა საღარაძის რეანლიან სკოლაში.

### იყიდება

იყიდება ერთოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ხარაგაულში, სოლომონ მეფის ქ. №56-ში, ბუნებრივი აირით. ფასი შეთანხმებით. 593 75 33 01 მალხაზი.

## შურნალისტიკა სკოლა „იმედი ხვალის“ ბიზნესში

„ჩემი ხარაგაული“ რედაქცია აცხადებს კონკურსს შურნალისტიკით დაინტერესებული უფროსკლასელებისთვის შურნალისტიკა სკოლაში „იმედი ხვალის“ მისაღებად. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლების მეცხრე და მეთექვსმეტე კლასების მოსწავლეებს. შერჩეული სტუდენტები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსს. მეცადინეობები

გაიმართება კვირაში ორჯერ. შურნალისტიკა სკოლა „იმედი ხვალის“ სტუდენტთა ნამუშევრებით და მათი უშუალო მონაწილეობით ყოველთვიურად მომზადდება და გამოიცემა მოსწავლეთა გაზეთი „იმედი ხვალის.“ შურნალისტიკით დაინტერესებულნი ძვირფასო მოსწავლეებო, კონკურსში ჩასართავად დაგვიკავშირდით 15 ოქტომბრამდე. გამოკვებაზე თქვენი ავი-

ტობიგრაფია და სამოტივაციო წერილი, თუ რატომ გაინტერესებთ შურნალისტიკა. დამატებით ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე: 593 90 05 01, 593 35 65 80, 22 16 27. მისამართი: ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. №59, მთლიან სართული, შემოსასვლელი შენობის უკანა მხრიდან.



პირველ დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს დიდ სიხარულს ანდრია კვიციანი. ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას და საუკეთესო მომავალს ვუსურვებთ. უფალი ფარავდეს მის თითოეულ ნაბიჯს.

შენი გავიძეო, გავუოთარი, დიდი გავიძეო ლილი

ვულოცავთ გვარის საჯარო სკოლის პედაგოგებს - რუსუდან ჩაჩიაშვილს მთლიანად მშობლების, სამოქალაქო განათლების სასერტიფიკაციო გამოცდის, ჩაბარების და სოფიო ნიჭიანი ქართული ენისა და ლიტერატურის სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარებას. ვუსურვებთ მათ წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას.

გვარის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ ქალბატონ ანტონინა ხახალაშვილს შვილიშვილის ნინო ხახალაშვილის გაბედნიერებას. ვუსურვებთ ახალდაქორწინებულებს ნინო და მირიანს შვილთა სიმრავლეს, უღვევ სიხარულს და უფლის მფარველობას.

სალანდოს საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ ხიდრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს ქვიციანი გარამს და ლოლო ჩაჩიაშვილს ქეთისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩარიცხვას. ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, წარმატებულ სტუდენტობას და ღმერთის მფარველობას.

ხიდრის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ ოქტომბერში დაბადებულ ჩვენს სკოლის პედაგოგებს ლოლო ხაჩიძეს, თამარ ლომიძეს, გიორგი შუბინიძეს და ინგა ბაგაშვილს დაბადების დღეს. ვუსურვებთ მათ წარმატებებს და უღვევ სიხარულს.

ნაღაპრის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ 60 წლის იუბილეს გეგანა ჩხიძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გარამის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ საღარაძის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელს ირმა ყრუაშვილს დოქტორის ხარისხის მინიჭებას. ვუსურვებთ ირმას შემდგომ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სალანდოს საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ საღარაძის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელს ანა კვიციანს შვილიშვილის - საბას დაბადებას. ვუსურვებთ პატარა ვაჟიკს ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

სალანდოს საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ მოლითის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს ნელი ლავანიაშვილს, ანა ტალახაშვილს და ნინო კვიციანს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას. ვუსურვებთ მათ წარმატებულ სტუდენტობას.

მოლითის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

დაბადების დღეს ვულოცავთ ვარძიის საჯარო სკოლის მასწავლებელს, ჩვენს საყვარელ კლასის დამრიგებელს მელანო ბაბუაშვილს. ვუსურვებთ მას სიმრავლეს, ჯანმრთელობას და დღევანდელი თაგის საყვარელ ოჯახთან ერთად.

ვარძიის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

გვარის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებს თინათინა ხახალაშვილს და მისივე ჯოჯოხიძის ვულოცავთ სტუდენტობას. ვუსურვებთ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

გვარის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ ქალიშვილის შექმნას მოლითის საჯარო სკოლის პედაგოგ ნათია ბაგაშვილს. პატარა ლილი ინჰინიძეს ბედნიერ ბავშვობას და ღვთის წყალობას ვუსურვებთ.

მოლითის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

დაბადების დღეს ვულოცავთ გვარის საჯარო სკოლის პედაგოგს ნატო არაბაძეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთესა და სიხარულს.

გვარის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ ჩვენს სკოლის კურსდამთავრებულებს - თქონის მფარველს ნინო ხახალაშვილს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვას და 70%-იანი გრანტის მიღებას და გიორგი ლომიძეს ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტობას. ვუსურვებთ მათ გამარჯვებით ველოთ თავისუფალ საქართველოში. წარმატებები ჰქონოთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გარამის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ჩემს საყვარელ ნათიას - სალომე არაბაძეს ვულოცავთ გაბედნიერებას. თავის რჩეულთან, ილია გოგიაშვილთან ერთად ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და შვილთა სიმრავლეს. ღმერთი იყოს მათი ლამაზი ოჯახის მფარველი.

სიმკვრივის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ შვილიშვილის ბედნიერებას მანა ბაგაშვილს და ვანო მუხრანაშვილს. ახალმშობლებს ლავა მუხრანაშვილს და ვანა მუხრანაშვილს ვუსურვებთ დიდ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს. უფლის მფარველობა არ მოკლებოდეს მათ ახალმშობილ ოჯახს.

სარაგაულის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ შვილიშვილის ბედნიერებას მანა ბაგაშვილს და ვანო მუხრანაშვილს. ახალმშობლებს ლავა მუხრანაშვილს და ვანა მუხრანაშვილს ვუსურვებთ დიდ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს. უფლის მფარველობა არ მოკლებოდეს მათ ახალმშობილ ოჯახს.

სარაგაულის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

ვულოცავთ შვილიშვილის ბედნიერებას მანა ბაგაშვილს და ვანო მუხრანაშვილს. ახალმშობლებს ლავა მუხრანაშვილს და ვანა მუხრანაშვილს ვუსურვებთ დიდ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს. უფლის მფარველობა არ მოკლებოდეს მათ ახალმშობილ ოჯახს.

სარაგაულის საჯარო სკოლის აქტიური პირსონალი

მთავარი რედაქტორი ლაურა გომოლაძე 593 900 501
რედაქტორის მონაგებელი ნინო კახანაძე 593 35 65 80
ლიბანიერი შოთა ლომიძე 557 10 20 47
მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59 ტელ.: 0 433 22 16 27 593 900 501 gogoladze.laura@gmail.com